ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 4 პარილი, 2014 წ.

ვადასტურებთ, რომ ქ. ბათუმის მერიის მიერ 2014 წლის 28 თებერვალს გამოცხადებულ, N1147 კონკურსის საშუალებით ქ. ბათუმში, ეგნატე ნინოშვილის მემორიალური ბიუსტის საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ერმაკოვი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი რამიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი: ირაკლი სურმანიძე

მამუკა თამაზაშვილი

ელგუჯა ხაზარაძე

ნაზი ფუტკარაძე

ვახტანგ ღლონტი

მაია ჭიჭილეიშვილი

ნინო ინაიშვილი

ზვიად ბურჭულაძე

დუგლას ზამთარაძე

ეგნატე ნინოშვილის მემორიალური ბიუსტის
საუკეთესო ესკიზის გამოვლენისა
და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის
ოქმი №4-2

ქ. ბათუმი, 4 აპრილი, 2014 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

გიორგი ერმაკოვი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე-ქ. ბათუმის მერის მოადგილის მ/შ, მერის მ/შ;

გიორგი რამიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე- ქ. ბათუმის მთავარი არქიტექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

ირაკლი სურმანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი- ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი;

მამუკა თამაზაშვილი-საკონკურსო კომისიის წევრი- ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახურის უფროსი;

ელგუჯა ხაზარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი (მხატვარი);

ნაზი ფუტკარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ვახტანგ ღლონტი - საკონკურსო კომისიის წევრი - თვითმმათველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი განათლების, კულტურისა და შემოქმედებით ინტელიგენციასთან მუშაობის საკითხებში;

მაია ჭიჭილეიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ხელოვნებათმცოდნე;

ნინო ინაიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ისტორიკოსი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ბათუმი";

ზვიად ბურჭულაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - არქიტექტორი, ქ. ბათუმის მერთან არსებულ სათათბირო ორგანო - არქიტექტორთა საბჭოს თვმჯდომარე;

დუგლას ზამთარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - არქიტექტორი.

დღის წესრიგი: კონკურსის მეშვეობით ეგნატე ნინოშვილის მემორიალური ბიუსტის საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2014 წლის 28 თებერვალს გამოცხადებული N 1147 კონკურსის შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის მამუკა თამაზაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომის წევრებს მოახსენა, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად, საკონკურსო წინადადების მიღების დასრულებამდე 2014 წლის 31 მარტის 18^{00} საათამდე საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა: ჯიმსონ გურგენიძემ (31.03.2014. 15:08 სთ).

დალუქული პაკეტი საკონკურსო კომისიის მიერ გაიხსნა 2014 წლის 4 აპრილს, 12^{30} საათზე. საკონკურსო კომისიამ განიხილა ჯიმსონ გურგენიძის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. განხილვისას აღმოჩნდა, რომ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო განცხადების 1.5 პუნქტის მოთხოვნებს, ასევე კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს განმარტებითი ბარათი, საკონკურსო წინადადების ფასი, კონკურსანტი პირის რეკვიზიტები და ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ, მემორიალური ბიუსტის ესკიზის პროექტი მასალაში, საკონკურსო მასალა შესაბამის ფორმატზე, სიტუაციური გეგმა, მემორიალური ბიუსტის მოდელი მასშტაბში 1:20, განშლები და ფოტომონაჟი რაც სრულად აკმაყოფილებს საკონკურსო დოკუმენტაციის 2.6 პუნქტის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

საკონკურსო წინადადება კომისიის გადაწყვეტილებით დაშვებულ იქნა შეფასებაზე, სადაც კონკურსანტის ნამუშევარი შეფასდა 10 ქულიანი სისტემით (საკონკურსო კომისიის წევრების მიერ განხორციელებული შეფასებები ოქმს თან ერთვის).

ეგნატე ნინოშვილის მემორიალური ბიუსტის საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში, კომისიის წევრთა მიერ ჯიმსონ გურგენიძეს მიენიჭა **66, 5** ქულა.

კომისიამ დაადგინა:

1. კონკურსის მეშვეობით ეგნატე ნინოშვილის მემორიალური ბიუსტის საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდეს ჯიმსონ გურგენიძე.

2. გაფორმდეს ჯიმსონ გურგენიძესთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

3. ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილებას (ვ. ხინთიბიძე) ეთხოვის წინამდებარე ოქმისა და თანდართული დოკუმენტაციის გაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით არა უგვიანეს 4 აპრილისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ერმაკოვი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი რამიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები: ირაკლი სურმანიძე

მამუკა თამაზაშვილი

ელგუჯა ხაზარაძე

ნაზი ფუტკარაძე

ვახტანგ ღლონტი

მაია ჭიჭილეიშვილი

ნინო ინაიშვილი

ზვიად ბურჭულაძე

დუგლას ზამთარაძე